



**დამოუკიდებელი ინსპექტორის
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა**

ქ. თბილისი

2021 წლის 8 ივლისი

**დისციპლინური საქმე №70/21
მოსამართლე --- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ**

-- -- 2021 წლის 18 ივნისის №-- საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 75⁶ მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე --- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძველიანობის წინასწარი შემოწმება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის 2021 წლის 18 ივნისის №255/70-03 წერილით, მოსამართლეს ეცნობა საჩივრის შემოსვლისა და დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების შესახებ. ამავე წერილით განხორციელდა საქმის მასალების გამოთხოვა.

1. საჩივრის ავტორის მიერ მითითებული ფაქტები:

საჩივრის ავტორის განცხადებით, მოსამართლემ არ განახორციელა დაკისრებული მოვალეობა, კერძოდ, არსებითად არ განიხილა საჩივარი იმ ზედმეტად ფორმალური მოტივით, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება წარმოდგენილი იყო წერილის და არა დადგენილების სახით.

2. საჩივრის საფუძველიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:

-- -- სასამართლოს მოსამართლე --- მსჯავრდებულ --- საჩივარი განსახილველად გადაეცა 2021 წლის 25 მაისს.

-- -- სასამართლოს -- მოსამართლის 2021 წლის 9 ივნისის განჩინებით მსჯავრდებულ --- საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

3. საჩივრის საფუძველიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, დისციპლინურ გადაცდომად შეიძლება მიჩნეულ იქნას მხოლოდ ისეთი ქმედება, რომელიც „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-8 პუნქტშია მოცემული.

ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს კონსტიტუციის 59-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, მართლმსაჯულებას ახორციელებენ სასამართლოები; 62-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, კი, მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გადასინჯვის და შეცვლის უფლებამოსილება ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს კომპეტენციას წარმოადგენს. დამატებით,

საქართველოს კონსტიტუციის 63-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე ემორჩილება მხოლოდ კონსტიტუციას და კანონს და არავის აქვს უფლება მოსთხოვოს მოსამართლეს ანგარიში კონკრეტულ საქმეზე.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია. მოსამართლე ფაქტობრივ გარემოებებს აფასებს და გადაწყვეტილებებს იღებს მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების, სხვა კანონების შესაბამისად და თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე.

სასამართლოს დამოუკიდებლობის მოთხოვნიდან გამომდინარე, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ადგენს, რომ „მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილება არ შეიძლება იყოს გადასინჯვის საგანი, გარდა გასაჩივრების ტრადიციული პროცედურისა“ (ალექსანდრე ვოლკოვი უკრაინის წინააღმდეგ §80). დისციპლინური სამართალწარმოების ჭრილში, დამოუკიდებელი ინსპექტორი ვერ იმსჯელებს მოსამართლის მიერ მიღებული განჩინება/გადაწყვეტილების კანონიერებაზე, ვინაიდან დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახური არ წარმოადგენს სასამართლოს ზემდგომ ინსტანციას, რომელსაც შეუძლია გააუქმოს/შეცვალოს გადაწყვეტილება.

აღნიშნული პრინციპების დასაცავად, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹⁰ მუხლის მე-5 პუნქტი ადგენს, რომ დისციპლინური სამართალწარმოების დროს დაუშვებელია მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებაზე ზედამხედველობა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატამ 2016 წლის 21 ივლისის №დს-შ/9-16 გადაწყვეტილებაში განმარტავს, რომ „კანონიერების პრინციპი კანონის უზენაესობას ეფუძნება. ეს კონსტიტუციური პრინციპია, რომლის თანახმად, არავის არ აქვს უფლება კანონმდებლობის მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება.“

მოცემულ შემთხვევაში კანონიერებაზე ზედამხედველობის აკრძალვა გულისხმობს მოსამართლის მიერ კანონის განმარტების, მტკიცებულებებისა და ფაქტობრივი და სამართლებრივი დასკვნების შეფასებას. აღნიშნული ფართო გაგებით, ჰიპოთეტურად, კონკრეტული დისციპლინური გადაცდომის სახისა და ელემენტების გათვალისწინებით, შეიძლება მოიცავდეს მოსამართლის მიერ მიღებული აქტების შესწავლასაც. თავის მხრივ, იმის შემოწმება, ხომ არ ჩაიდინა მოსამართლემ დისციპლინური გადაცდომა წარმოადგენს მოსამართლის ქმედების კანონიერების შემოწმებას. თუმცა, საჩივარში მითითებული ის გარემოებები, რომელიც შეეხება მოსამართლის მიერ განხორციელებული ქმედებების კანონიერების გადასინჯვას, სცილდება დამოუკიდებელი ინსპექტორის უფლებამოსილებას.

საჩივრის ავტორი მიუთითებს, რომ მოსამართლემ უარი თქვა -- -- საჩივრის არსებითად განხილვაზე, ვინაიდან გასაჩივრებული გადაწყვეტილება წარმოდგენილი იყო წერილის და არა დადგენილების სახით.

საქართველოს სსსკ-ის 56-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, პირის დაზარალებულად ან მის უფლებამონაცვლედ ცნობის სათანადო საფუძვლის არსებობისას პროკურორს გამოაქვს დადგენილება საკუთარი ინიციატივით ან ამ პირის მიერ შესაბამისი განცხადებით მიმართვის შემთხვევაში. თუ პროკურორმა განცხადება არ დააკმაყოფილა მისი შეტანიდან 48 საათის განმავლობაში, აღნიშნულ პირს უფლება აქვს, დაზარალებულად ან მის უფლებამონაცვლედ ცნობის მოთხოვნით ერთჯერადად მიმართოს ზემდგომ პროკურორს. ზემდგომი პროკურორის უარი საჩივრდება გამოძიების ადგილის მიხედვით რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში. ამავ მუხლის მე-7 ნაწილის თანახმად მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

საქართველოს სსსკ-ის 93-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, შუამდგომლობა უნდა იყოს დასაბუთებული, მასში კონკრეტულად უნდა იყოს გადმოცემული ჯერ მოთხოვნა და შემდეგ

მოთხოვნის არგუმენტაცია და იგი უნდა ეხებოდეს მხოლოდ იმ გარემოებებს, რომლებსაც უშუალო კავშირი აქვს შუამდგომლობაში დასმულ საკითხებთან. ამავე კოდექსის 94-ე მუხლის მე-6 ნაწილი იმპერატიულად მოითხოვს, რომ შუამდგომლობის დაყენებისას სასამართლოს უნდა წარედგინოს სისხლის სამართლის საქმის იმ მასალების ასლები, რომლებიც აუცილებელია მისი განხილვისათვის.

სისხლის სამართლის პროცესში დაზარალებულის პროცესუალური სტატუსით მონაწილეობის მისაღებად სავალდებულოა მატერიალური და ფორმალური წინაპირობის არსებობა. მატერიალურ წინაპირობას წარმოადგენს ის, რომ პირს უშუალოდ დანაშაულის შედეგად უნდა მიადგეს მორალური, ფიზიკური ან ქონებრივი ზიანი. ფორმალური წინაპირობა კი მდგომარეობს დანაშაულის მსხვერპლის დაზარალებულად ან მისი ახლო ნათესავის დაზარალებულის უფლებამონაცვლედ ცნობის შესახებ პროკურორის მიერ დადგენილების გამოტანაში. პროკურორი ვალდებულია, მას შემდეგ, რაც დაადგენს პირის დაზარალებულად ცნობის მატერიალურ წინაპირობას, მიანიჭოს მას დადგენილებით (ფორმალურად) დაზარალებულის პროცესუალური სტატუსი.

როგორც საქმის მასალებიდან ჩანს, -- -- საჩივარი წარმოდგენილი აქვს -- სამმართველოს უფროსის -- -- 2021 წლის 13 მაისის №-- წერილზე.

მოსამართლემ აღნიშნული წერილი არ მიიჩნია პროკურორის დადგენილებად დაზარალებულად ცნობაზე უარის თქმის შესახებ და განმარტა, რომ არ იყო დაცული სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოთხოვნები (პროცესუალური ნაწილი) და ასევე საქმეში წარმოდგენილი არ არის როგორც პროკურორის, ასევე ზემდგომი პროკურორის დადგენილება დაზარალებულად ცნობაზე უარის შესახებ, შესაბამისად არ არსებობდა საჩივრის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი.

კონკრეტულ შემთხვევაში ნორმის განმარტების სამართლებრივი პროცესი, ისევე როგორც საჩივრის განხილვისა და მტკიცებულებათა შეფასების პროცესი, ხორციელდება გარემოებათა შინაგანი რწმენით შეფასებების საფუძველზე. შესაბამისად, საჩივარში მითითებული გარემოებები, რომელიც შეეხება მოსამართლის მიერ შინაგანი რწმენის საფუძველზე, მტკიცებულებათა შეფასების შედეგად გამოტანილი გადაწყვეტილებისა თუ განხორციელებული ქმედების შემოწმებას, არ შეიძლება განხილულ იქნეს დისციპლინურ გადაცდომად. ორგანული კანონით განსაზღვრული დისციპლინური გადაცდომის ნიშნების არარსებობისას, დამოუკიდებელი ინსპექტორი არ არის უფლებამოსილი შეაფასოს მოსამართლის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებების/განხორციელებული ქმედებების კანონიერება, რადგან არ წარმოადგენს მართლმსაჯულების განმახორციელებელ ორგანოს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კანონიერების შემოწმების მიზნით დისციპლინური სამართალწარმოების განხორციელება შეუძლებელია.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹² მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, დამოუკიდებელი ინსპექტორი იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ საჩივარი ეხება მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებას.

ამდენად, დამოუკიდებელმა ინსპექტორმა იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹² მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ვ ვ ი ტ ა :

-- -- 2021 წლის 18 ივნისის №-- საჩივარზე შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება მოსამართლე -- -- მიმართ.

ზურაბ აზნაურაშვილი
დამოუკიდებელი ინსპექტორი